დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 16 ივლისის N24 ბრძანებით
ცვლილებები განხორციელდა აკადემიის დირექტორის
2025 წლის 25 აგვისტოს N15548 ბრძანებით
დანართი 18

შპს გეოგლობალ აკადემიის სოციალური პროგრამის, სოციალური სტიპენდიისა და სხვა სახის წახალისების განხორციელების წესი

მუხლი 1. პროგრამის მიზანი
პროგრამის მიზანია გეოგლობალ აკადემიაში სოციალურად დაუცველი პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადახდაში ამ წესითა და პირობებით გათვალისწინებული შეღავათების მინიჭება.
მუხლი 2. პროგრამის ამოცანები
პროგრამის ამოცანაა დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტთა განცხადებების განხილვის შედეგად, სწავლის საფასურის შეღავათების უფლების მქონე პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დადგენა, შეღავათების კატეგორიების განსაზღვრა;
მუხლი 3. პროგრამის ღონისძიებები
1. პროგრამის განხორციელების მიზნით მოქმედებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისია.
2. სასწავლო წლის დაწყებამდე კომისია ადგენს პროგრამის განხორციელების ვადებს და აქვეყნებს განცხადებას სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის განხორციელების შესახებ.
3. კომისიის მიერ განცხადებები განიხილება ინდივიდუალურად, დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით და მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება დირექტორს სწავლის საფასურის შეღავათების მინიჭების შესახებ სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გამოსაცემად.
4. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად პროფესიულმა სტუდენტებმა აკადემიის საქმისწარმოების სამსახურთან უნდა წარმოადგინონ:
ა) განცხადება;
ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობისა (პასპორტის) და დაბადების მოწმობის ასლი;
გ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ დადასტურებული ინფორმაცია სწავლის შედეგების დადასტურების შესახებ;
დ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობის ასლი (სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000 –ზე);
ე) მკვეთრად /მნიშვნელოვნად/ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
ვ) საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული მოწმობის ასლი, რითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის შვილი ან ცნობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან მშობლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ზ) მშობელის გარდაცვალების მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);
თ) მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტისა და მისი და – ძმების პირადობის მოწმობის ასლები;
ი) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გაცემული იძულებით გადაადგილებული პირის (დევნილის) სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
კ) შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული ცნობა, ეკომიგრანტის (სტიქიით დაზარალებული) სახლის დაზიანების პირველი ან მეორე კატეგორიის შესახებ;
ლ) შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული ცნობა, სტუდენტის მარტოხელა დედობის დადასტურების შესახებ.
მუხლი 4. პროგრამის დაფინანსება
სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს აკადემიის ბიუჯეტი.
მუხლი 5. პროგრამაში მონაწილე პირები

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ აკადემიის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტები. ამ პროგრამაში არ მონაწილეობს პროფესიული სტუდენტი, რომელიც იღებს ფინანსურ სარგებელს აკადემიიდან.

მუხლი 6. შეფასების კრიტერიუმები

1. პროგრამის მიხედვით შეღავათები მიენიჭება:

ა) პროფესიულ სტუდენტს, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000 – ზე და რომელსაც წინა სასწავლო წლის შედეგების მიხედვით ყველა მოდულის სწავლის შედეგები აქვს დადასტურებული.

ბ) პროფესიულ სტუდენტს, რომელიც არის მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და რომელსაც წინა სასწავლო წლის შედეგების მიხედვით მოდულის სწავლის შედეგების უმრავლესობა აქვს დადასტურებული.

გ) პროფესიულ სტუდენტს, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებულის შვილი და რომელსაც წინა სასწავლო წლის შედეგების მიხედვით ყველა მოდულის სწავლის შედეგები აქვს დადასტურებული.

დ) პროფესიულ სტუდენტს, რომელიც არის ობოლი (დედით ან მამით) და რომელსაც წინა სასწავლო წლის შედეგების მიხედვით ყველა მოდულის სწავლის შედეგები აქვს დადასტურებული.

ე) პროფესიულ სტუდენტს, რომელიც არის იძულებით გადაადგილებული (დევნილის) სტატუსის მქონე და რომელსაც წინა სასწავლო წლის შედეგების მიხედვით ყველა მოდულის სწავლის შედეგები აქვს დადასტურებული.

ვ) პროფესიულ სტუდენტს, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი ან მეტი შვილი) წევრი და რომელსაც წინა სასწავლო წლის შედეგების მიხედვით ყველა მოდულის სწავლის შედეგები აქვს დადასტურებული.

ზ) პროფესიული სტუდენტი, რომელიც მიეკუთვნება შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო უწყების მიერ დადგენილი ეკომიგრანტის (სტიქიით დაზარალებული), ოჯახს, რომლის სახლის დაზიანება შეფასებულია პირველ ან მეორე კატეგორიით და რომელსაც წინა სასწავლო წლის შედეგების მიხედვით ყველა მოდულის სწავლის შედეგები აქვს დადასტურებული.

თ) პროფესიული სტუდენტი, რომელიც არის მარტოხელა დედა, რომელიც დასტურდება შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული ცნობით და რომელსაც წინა სასწავლო წლის შედეგების მიხედვით ყველა მოდულის სწავლის შედეგები აქვს დადასტურებული.

მუხლი 7. დაფინანსების განსაზღვრა

1. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არის მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და რომელსაც წინა სასწავლო წლის შედეგების მიხედვით ყველა მოდულის სწავლის შედეგები აქვს დადასტურებული, დაფინანსება განესაზღვროს წლიური საფასურის 70%.

2. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არის მრავალშვილიანი (ექვსი და მეტი შვილი) ოჯახის წევრი და რომელსაც წინა სასწავლო წლის შედეგების მიხედვით ყველა მოდულის სწავლის შედეგები აქვს დადასტურებული, დაფინანსება განესაზღვროს წლირი საფასურის 70%;

3. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არის მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი შვილი) ოჯახის წევრი და რომელსაც წინა სასწავლო წლის შედეგების მიხედვით ყველა მოდულის სწავლის შედეგები აქვს დადასტურებული დაფინანსება განესაზღვროს წლიური საფასურის 50 %;

4. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არის მარტოხელა დედა და რომელსაც წინა სასწავლო წლის შედეგების მიხედვით ყველა მოდულის სწავლის შედეგები აქვს დადასტურებული, დაფინანსება განესაზღვროს წლიური საფასურის 50 %;

5. მათ, ვისაც პროგრამის მიხედვით მიენიჭათ შეღავათები დაფინანსება განესაზღვროთ წლიური საფასურის 30 %.

მუხლი 8. სოციალური სტიპენდია

1. სოციალური სტიპენდია ენიშნებათ სოციალურად დაუცველებსა და მატერიალურად შეჭირვებულებს.

2. აკადემიის დირექტორი ბრძანებით განსაზღვრავს სოციალური სტიპენდიის ოდენობას და სტიპენდიანტებს.

მუხლი 9 . სხვა სახის წახალისება

1. აკადემიის დირექტორი თავისი ინიციატივით ან პროფესიული სტუდენტ(ებ) ის თხოვნის საფუძველზე ახორციელებს სხვადასხვა სახის ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებას.